

პრესრელიზი

”საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი” საქართველოში უმაღლეს ამერიკულ განათლებას აფინანსებს

”ევროპული სკოლის” ოქროს მედალოსან კურსდამთავრებულ ანი გვერდწითელს 4 წლიან საბაკალავრო პროგრამას ”სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში-საქართველოში” ”საქართველოს ინდუსტრიული



ჯგუფი” სრულად დაუფინანსებს. წარჩინებული მოსწავლის დაჯილდოება, შეხვედრა ”სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დეკანთან საქართველოში” დოქტორ კენ უოლშთან და უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამების წარდგენა ”ევროპულ სკოლაში” გაიმართა.

ლონისძიებაზე დეტალურად განიხილეს განათლების ყველაზე აქტუალური - STEM მიმართულება, რომელიც გულისხმობს

განათლების მიღებას მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და მათემატიკის დარგებში.

საქართველოში მის განვითარებაზე აქტიურად ზრუნავენ როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებები, ისე კერძო ორგანიზაციები. სწორედ ამ მიმართულების განვითარებას ისახავს მიზნად მემორანდუმი, რომელიც ”საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფსა” და ”სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს-საქართველოს” შორის გაფორმდა და რომლის ფარგლებშიც ევროპული სკოლის კურსდამთავრებულ ანი გვერდწითელს 4 წლიანი საბაკალავრო პროგრამა სრულად დაუფინანსდება.

”საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი” არის მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანია.



განათლება ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ამ კუთხით, უკვე მეორე წელია, ”სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან” ვთანამშრომლობთ. როგორც გასულ წელს, წელსაც ვუფინანსებთ სწავლას გამორჩეულ მოსწავლეს. ჩვენი მომორანდუმის ფარგლებში დაფინანსების გაცემა მომავალ წლებშიც



პრესრელიზი

გაგრძელება," - აცხადებს "საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის" ფინანსური დირექტორი ზურაბ გენელიძე.

"ჩვენი მთავარი მიზანია, საქართველოში საინჟინრო და ტექნიკური მიმართულებებით მაღალკვალიფიციური კადრების არსებობა უზრუნველვყოთ. სწორედ ამ მიზნით სტუდენტებს ვთავაზობთ ამერიკულ საბაკალავრო პროგრამებს, რაც საქართველოში საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე მაღალი დონის განათლების მიღების საუკეთესო შესაძლებლობაა. თუ დავფიქრდებით, ადვილად მივხვდებით, რომ თანამედროვე მსოფლიოში სიმდიდრეს სწორედ ტექნოლოგიები და ინოვაციები ქმნის. ამ დარგების განვითარებაზე დამოკიდებული მსოფლიოს კეთილდღეობა და სიმდიდრე. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ საქართველოში STEM მიმართულებით კვალიფიციური სამუშაო ძალა არსებობდეს. ქვეყნის ეკონომიკას ეს განავითარებს. - განმარტავს "სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის - საქართველოს" დეკანი კენეთ დ. უოლში.

STEM მიმართულების მნიშვნელობას კარგად აცნობიერებს "საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფიც", რომელიც საქართველოს ერთ-ერთ უმსხვილეს ინდუსტრიულ ჯგუფს წარმოადგენს. კომპანია მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში STEM განათლების ამაღლებაზეც ზრუნავს.

კომპანია "ჯი-აი-ჯი" ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

